ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4877118

ნომერი: AR1730319

თარიღი : 23.01.2020

გაცემის თარიღი : 26.02.2020

გაცნობის თარიღი : 26.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი, I მ/რ, კორპუსი N9-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის დასახლება I მკ.რ. კორპუსი N9-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ნონიაშვილი პ/ნ 08001003186
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, კორპუსი 77გ, ბინა 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 23 იანვარს №AR1730319 განცხადებით მომართა გოჩა ნონიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისი, ვაზისუბანი, I მ/რ, კორპუსი N9-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება I მკ.რ. კორპუსი N9-ის მიმდებარედ, №01.17.07.041.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 7 აგვისტოს N4621705 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 7 აგვისტოდან 2021 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად ითხოვს საცხოვრებელ ფართობად 8061.46 კვ.მ-ის ნაცვლად 8058.65 კვ.მ-ის დაფიქსირებას, საზაფხულო ფართობად 953.17 კვ.მ-ის ნაცლვად 957.89 კვ.მ-ის დაფიქსირებას, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1453.85 კვ.მ-ის ნაცლად 1454.44 კვ.მ-ის დაფიქსირებას, ავტოსადგომის ფართობად 1329.29 კვ.მ-ის ნაცლვად 1344.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას, ხოლო საერთო ფართობად 11833.97 კვ.მ-ის ნაცვლად 11851.28 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, ითხოვს 0.00, +3.20 და +28.80 ნიშნულის არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმების ჩანაცვლებას და შეთანხმებულ პროექტში გამორჩენილი +12.8 ნიშნულის არქიტექტურული და აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმების დამატებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. თუმცა, სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანხმებული და წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი შეადგენს 1454.41 კვ.მ-ს, შესაბამისად საერთო ფართობი იქნება 11851.25 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 8058,65 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 957,89 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1454,41 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 1344.10 კვ.მ. საერთო ფართობი: 11851.25 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებით შეთანმხებული 0.00, +3.20 და +28.80 ნიშნულის არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით. ამასთან დაემატოს ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი, გამორჩენილი +12.80 ნიშნულის არქიტექტურული და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმა.
3. სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 ივლისის №4599576 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge